სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია შოშიაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 09.12.2024 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბერს №1/115 განკარგულებით დაწყებულ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - მაია შოშიაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2024 წლის 17 ოქტომბერს №1/115 განკარგულებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე დაიწყო კონკურსი მოსამართლეების შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში დარეგისტრირდა 28 პირი, მათ შორის - მაია შოშიაშვილი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34[2] მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 35[1] მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი „სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი „აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი

კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი „არ აკმაყოფილებს“ მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

<u>I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:</u>

სახელი, გვარი: **მაია შოშიაშვილი**

განათლება: **უმაღლესი იურიდიული (მაგისტრთან გათანაბრებული, თსუ 1988 წელი)**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **34 წელი**

მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: **25 წელი**

<u>II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, მაია შოშიაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** - პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა (სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში) და მოქალაქის, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური

ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასებისას – აგრეთვე სიმართლისმოყვარეობა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის თავდაჭერილობას, კოლეგიალურობას კეთილსინდისიერებას, მის მაღალ კომპეტენციას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ კარგად/ძალიან კარგად.

- კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორიით. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება

კანდიდატის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით - პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასებისას – აგრეთვე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

სხვა რაიმე სახის ინფორმაცია, რაც კანდიდატის ზემოაღნიშნულ უნარებს დააყენებს ეჭვქვეშ, წარმოდგენილი არ არის, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

3. **პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით პირის** - შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.
კანდიდატი არ ყოფილა დაზარალებულად ცნობილი.

კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის თავდაჭერილობას, კოლეგიალურობას კეთილსინდისიერებას, მის მაღალ კომპეტენციას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს.

ყოველივე აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>4. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას**</u> - გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები და რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

ყველა ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შეფასების საფუძველზე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას არ გამოვლენილა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის რეპუტაცია, ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, მაია შოშიაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა კანდიდატის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 თებერვლის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-672-21;
2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 ივნისის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-517-21;
3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-21-22;
4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-459-21;
5. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 დეკემბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-565-21.

კანდიდატის მიერ განხილული საქმეების ანალიზი და გასაუბრების ეტაპებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები მაძლევს საფუძველს მივიჩნიო, რომ მაია შოშიაშვილი ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის კარგი ცოდნა.

კანდიდატი სწორად და სიღრმისეულად აყალიბებს სამართლის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებულ ხედვებს. კანდიდატი კარგად იცნობს როგორც საკანონმდებლო სიახლეებს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და ახერხებს მის ეფექტურ იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე სამართალშემოქმედების პროცესში.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და გასაუბრების შედეგების ანალიზი მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება. მისი გადაწყვეტილებები არის კარგად დასაბუთებული, კანდიდატი დასაბუთების პროცესში არის დამაჯერებელი, ლაკონური და მწყობრი. სწორად აყალიბებს საკუთარ ხედვებს, რაც მიუთითებს მისი ცოდნის ხარისხზე.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებელი

როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატი გადაწყვეტილებებში ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, აზრის ჩამოყალიბებისა პროცესში არის თანმიმდევრული. მისი გადაწყვეტილებები არის სტრუქტურირებული. გადაწყვეტილებებში დაცულია პუნქტუაციისა და მართლწერის წესები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატი აზრს აყალიბებს ნათლად, ამავდროულად გააჩნია მოსმენის კულტურა, გასაუბრების პროცესში კანდიდატი იყო ღია, გახსნილი და გაწონასწორებული.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით - 100%;
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%;
- საანგარიშო პერიოდში (993 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 3854 საქმე, დღეში
  საშუალოდ 3,9 საქმე;
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი 95,6%, შეცვლილი 4,4%.

კანდიდატის მხრიდან მხარეებისა და პროცესის მონაწილეთა მიმართ უდიერი ან არაკორექტული დამოკიდებულება გამოვლენილი არ არის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

მაია შოშიაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ ღონისძიებებში:

- 2022 წლის 29 აპრილი - 1 მაისი, ბორჯომი, სემინარი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო"
- 2022 წლის 16-17 ივლისი, ბორჯომი, საპილოტე სემინარი - „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა";
- 2022 წლის 28-30 ოქტომბერი, ლოპოტა, სემინარი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე";
- 2024 წლის 11-18 თებერვალი, ქ. ბუდაპეშტი (უნგრეთი), ტრენინგი „ციფრული სახის მტკიცებულებები მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის" და სხვა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

კანდიდატი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 2003-2004 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის ლექტორი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 4 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 95 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 09.12.2024 წ.